

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია

გიორგი შარვაშიძე

## შესავალი

უნივერსიტეტის განვითარება უწყვეტი პროცესია. ყოველ ეტაპს თავისი გამოწვევები აქვს, მაგრამ უცვლელი რჩება დროის მოთხოვნების შესაბამისად კვლევის, სწავლისა და სწავლების, ორგანიზაციული სრულყოფისა და მოდერნიზაციის, საზოგადოების ინტერესებისა და განვითარების პერსპექტივების შესატყვისი და წინმსწრები ორიენტირების განსაზღვრა.

ეს სამოქმედო გეგმა და კონცეფცია მიზნად ისახავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების მირითადი მიმართულებების აღწერას მომავალი 4 წლის განმავლობაში. ის ეფუძნება გაწეული მუშაობისა და მიღწეული შედეგების ანალიზს და შემდგომი 4 წლის მირითადი გამოწვევების, ამოცანებისა და სასურველი შედეგების მიღწევის გზებისა და საშუალებების წარმოჩენას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოთხი წლის წინ სისტემური გამოწვევების წინაშე იდგა. მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით სფეროებში, მართვასა და ადმინისტრირებაში. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელი იყო განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესება, უნივერსიტეტში არსებული ინიციატივი პოტენციალის იდენტიფიცირება და გამოყენება, ადმინისტრაციასა და ცალკეულ სტუდენტურ ჯგუფებს შორის არსებული დაპირისაპირების აღმოფხვრა, უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირებებში პოზიციონირება, სტუდენტებისა თუ აკადემიური პერსონალის ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის უზრუნველყოფა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გამყარება, სასწავლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა თუ სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება და სტუდენტური სივრცეების კეთილმოწყობა. ეს მხოლოდ ნაწილია იმ სირთულეებისა, რომელთა მოუგვარებლობაც კიდევ უფრო გააღრმავებდა სტუდენტების რაოდენობისა და უნივერსიტეტის ფინანსური რესურსის კლების იმ დროისათვის არსებულ უარყოფით ტენდენციას. მკვეთრად მცირდებოდა ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთიც. ეს გარემოებები უნივერსიტეტს ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით დიდ საფრთხეს უქმნიდა.

2016-2020 წლებში მოხდა აღნიშნული პრობლემებისა და პროცესების სტაბილიზება და სირთულეების ეტაპობრივი დამლევა. 2020-2024 წლებში თსუ-ს განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია თსუ-ს ინსტიტუციურ სრულყოფასა და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული მოდელის შექმნაზე.

### მიზნები:

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მთავარი საზრუნავი იქნება ინტერნაციონალიზაცია და ევროპისა და მსოფლიოს აკადემურ ქსელში მჭიდრო ინტეგრირება, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო-სასწავლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინოვაციების ხელშეწყობა და ინდუსტრიასა და ბიზნესთან ურთიერთობების გაღრმავება, სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ მუშაობასთან დაკავშირებული პროცესების ავტომატიზება, ადამიანური რესურსების განვითარებისა და მათი შეფასების მექანიზმების დახვეწა, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, სტუდენტური სერვისების სრულყოფა, სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ პროცესში ჩართულ სხვა რგოლებთან ერთად აქტიურად გააგრძელებს უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე მუშაობას. თსუ განაგრძობს პროფესიული განათლების უმაღლეს განათლებასთან კავშირის მხარდაჭერას.

### დოკუმენტის აქცენტირებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის საერთაშორისო პოზიციონირება;
- სწავლა, სწავლება და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- კვლევა და ინოვაცია: საერთაშორისო კოლაბორაცია და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი;
- ინსტიტუციური განვითარება (სტუდენტური სერვისები; ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება).

## 1. უნივერსიტეტის საერთაშორისო პოზიციონირება

განხორციელებული აქტივობები/არსებული სიტუაცია:

2016-2020 წლები გამორჩეულად აქტიური პერიოდი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. 2016 წლიდან თსუ ყველა პრესტიულ რანჟირებაში გამოჩნდა და ამ თვალსაზრისით ერთადერთი უნივერსიტეტია კავკასიის რეგიონიდან. თსუ, U.S. News and World Report-ის რანჟირების თანახმად, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 1.5%-ში შევიდა (შეფასდა თსუ-ს აკადემიური და კვლევითი საქმიანობა და მან 1500 საუკეთესო ფინალისტ უნივერსიტეტს შორის 322-ე ადგილი დაიკავა). თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, რომელიც მოხვდა QS World University Rankings 2021 წლის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში. თსუ ზედიზედ 4 წელია, შედის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების (THE) რანჟირებაში (2017, 2018, 2019, 2020); იგი რეგიონში პირველია შემდეგი მაჩვენებლითაც: Round University Ranking 2019 (N614) და Shanghai Academic Ranking of the Word Universities (თსუ ფიზიკის მიმართულება 2019 წელს N151-200).

ჩვენთვის მნიშვნელოვანი სამომავლო ამოცანაა, მომდევნო 10 წელიწადში თსუ-მ ადგილი დაიმკვიდროს 500 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის და ამ მიზნით 2020-2024 წლებში დაგეგმილი აქტივობების შედეგად Times High Education-ის რანჟირებაში, სულ მცირე, 200 საფეხურით გაიუმჯობესოს თავისი პოზიცია.

თსუ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში: წარმატებით ვთანამშრომლობთ 60-მდე ქვეყნის 200-ზე მეტ უნივერსიტეტთან. ბოლო 3 წლის განმავლობაში 1200-ზე მეტმა სტუდენტმა და აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა მობილობაში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თსუ ყოველწლიურად უფრო საინტერესო ხდება უცხოელი სტუდენტებისთვის. ამჟამად თსუ-ში სწავლობენ სტუდენტები 50 ქვეყნიდან.

უნივერსიტეტმა ორი წელია, თანამშრომლობა გააკტიურა ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA) როგორც ღონისძიებების/კონფერენციების მასპინძლობის, ასევე თემატურ ჯგუფებში მონაწილეობის თვალსაზრისით. 2020 წლის იანვარში ჩვენ ვუმასპინძლეთ ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს (EUA-CDE) ყოველწლიურ შეხვედრას, რომელსაც 120-ზე მეტი ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაესწრო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა აღნიშნული ასოციაციის შეხვედრა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში გაიმართა.

უნივერსიტეტის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები მიმზიდველია როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისათვის. ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება მისაღები კონტინგენტისა და იმ აპლიკანტების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რომელთა პირველი არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით აბიტურიენტების საერთო რაოდენობა შემცირდა, თუმცა, 2020-2021 სასწავლო წელს 2017 წელთან შედარებით თსუ საბაკალავრო პროგრამებზე დაახლოებით 60%-ით მეტ სტუდენტს მიიღებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ყოველი მესამე გრანტოსანი თსუ-ს სტუდენტია. უნივერსიტეტმა ავტორიზაციით 2020 წლის თებერვალში სტუდენტთა

კონტინგენტი გაზარდა 4920-ით და ახლა თსუ-ში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 27 117-ია.

თსუ-ს საერთაშორისო სივრცეში პოზიციონირებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა, რომელიც UNESCO-ს ეგიდით აღინიშნა. და ამ ღონისძიებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 300-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა. მთელი წლის განმავლობაში ჯამში 500 საიუბილეო ღონისძიება ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ თსუ-ს სისტემატურად სტუმრობენ საერთაშორისო მასშტაბის ლიდერები და მეცნიერები.

### გამოწვევები:

თსუ-ს პოზიციების განმტკიცება და ხილვადობის გაზრდა საერთაშორისო სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს თსუ-ს საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას, მეტი უცხოელი სტუდენტის მოზიდვასა და საერთაშორისო კვლევით კოლაბორაციას.

### პერსპექტივა / გუგმა:

- არსებული მიღწევების განმტკიცება და გაუმჯობესება. კერძოდ, საერთაშორისო რანჟირებებში დაწინაურება;
- საერთაშორისო სტუდენტებისთვის მეტი მომხიბვლელი საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება;
- საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა;
- საერთაშორისო აკადემიურ ქსელში მჭიდროდ ინტეგრირება.

## 2. სწავლა, სწავლება და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

განხორციელებული აქტივობები/არსებული სიტუაცია:

თსუ-მ 2018 წელს ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით ექვსწლიანი ავტორიზაცია მიიღო, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი სტრატეგიული ხედვა, საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები, კვლევა, ადამიანური რესურსი, ინფრასტრუქტურა და სტუდენტური სერვისები თავსებადია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან და მათში გათვალისწინებულია საერთაშორისო თუ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია რეგიონში უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობით. უნივერსიტეტი ლიონ 2-თან თანაშრომლობით შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა ტურიზმში, გოტინგენის უნივერსიტეტთან ერთად გაკეთდა საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში, ბოლონიის უნივერსიტეტთან ერთად სტუდენტებს ვთავაზობთ სადოქტორო პროგრამას ევროპულ ლიტერატურაში, ფოლკსვაგენის ფონდის დაფინასნებით და ორ გერმანულ უნივერსიტეტთან თანაშრომლობით ფიზიკის სადოქტორო პროგრამაში ინტეგრირდა ინგლისურენოვანი მოდულები. ამჟამად თსუ-ში 24 უცხოენოვანი პროგრამა მოქმედებს, 9 უცხოენოვანი პროგრამა კი მომზადების პროცესშია.

თსუ არის პირველი უნივერსიტეტი ABET-ის ისტორიაში, რომელმაც პირველივე ჯერზე მიიღო 6-წლიანი ამერიკული აკრედიტაცია ელექტრონულ და ელექტრონულ ინჟინერიასა და კომპიუტერულ მეცნიერებაში. თსუ-ს საბაკალავრო პროგრამა ქიმიაში პირველია საქართველოში, რომელიც ამერიკის ქიმიური საზოგადოების (ACS) სერტიფიცირებას მიიღებს. საქართველო 24-ე ქვეყანაა, სადაც ACS-ის წარმომადგენლობა გაიხსნა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსაia პროფესორ-მასწავლებებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და პროფესიონალიზმი, რაც მათ პანდემიის პირობებში დისტანციური განათლების ელემენტების დანერგვისას გამოიჩინეს, რის შედეგადაც წარმატებით შევმელით კრიზისის მართვა. საგანგებო რეჟიმის გამოცხადებიდან ძალიან მაღალ, კერძოდ, 16 მარტიდან, ISET-მა, ხოლო 23 მარტიდან შვიდივე ფაკულტეტმა, უწყვეტი განათლების ცენტრმა, აბიტურიენტების მოსამზადებელმა განყოფილებამ და საბავშვო უნივერსიტეტმა დისტანციურ ფორმატში დაიწყეს სწავლება. პროფესორებს, ისევე, როგორც სტუდენტებს აღნიშნულ პროცესში ჰქონდათ ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. ყველა სტუდენტს LMS-ზე გაეგზავნა გზამკვლევები. ამასთან, 20 მარტიდან თსუ-ში პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი ამოქმედდა: 50-ზე მეტ სტუდენტს გაეწია ფსიქოლოგიური დახმარება, კონსულტაციები ჩაუტარდათ უცხოეთში მყოფ ჩვენს სტუდენტებსაც.

დისტანციური სწავლებისთვის მნიშვნელოვანი იყო თსუ-ს ბიბლიოთეკის გაზრდილი შესაძლებლობები ბოლო 4 წლის განმავლობაში. ელექტრონული ბაზის გამოყენებით სტუდენტებს 12 000-ზე მეტი წიგნით სარგებლობა შეუძლიათ. თსუ-ში სრულადაა ხელმისაწვდომი ისეთი საერთაშორისო ელექტრონული ბაზები, როგორებიცაა: Elsevier, Scopus, Sciencedirect, EBSCO, Econlit England Journal, Oxford Textbook of Medicine, JSTOR, BioOne; ECD-Library, Cambridge Journals Online, HINARI Health და სხვა. პანდემიამ სამეცნიერო ჟურნალების ბეჭდვის სტრატეგიაც შეგვაცვლევინა და ფაკულტეტებზე არსებული ჟურნალების დიდი ნაწილი Online პლატფორმაზე გადაგვატანინა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში გაორმაგდა იმ დამსაქმებლების რაოდენობა, რომლებთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს. ბოლო წლებია, მყარ პოზიციებს ვინარჩუნებთ შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს უნივერსიტეტზე მოთხოვნის ზრდის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს. თსუ ყოველწლიურად ატარებს კურსდამთავრებულთა გამოვითხვას, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი 70 %-დან 100 %-მდე მერყეობს. სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების პერსპექტივის გაზრდის მიზნით კერძო სექტორთან თუ სახელმწიფო უწყებებთან 500-ზე მეტი მემორანდუმი გაფორმდა.

უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტში “აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის” (INTEGRITY), რომლის ფარგლებშიც 2019 წლის განმავლობაში არაერთი შეხვედრა მიეძღვნა აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლებას და ამ კუთხით საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავებას. აქტიურად მიმდინარეობს აკადემიური კეთილსინდისიერების პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების ათვისება სტუდენტთა მხრიდან როგორც სასწავლო, ისე კვლევის პროცესში. ამჟამინდელი მონაცემებით ათვისებულია turnitin-ის 6000 ლიცენზია.

აქტიური სტუდენტური ცხოვრების პარალელურად წლების განმავლობაში დიდ გამოწვევად რჩებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში სტუდენტთა ჩართვა. თუმცა სტუდენტების დამოკიდებულება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დღეს უვავე სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო კურსებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში, რაც პროგრამების დახვეწისა და სწავლების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ქმედითი ხერკეტია. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამების როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების პროცესშიც. 2019-2020 სასწავლო წელს ჩვენი მხარდაჭერითა და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის რეკომენდაციით საქართველოს სტუდენტთა კავშირი ევროპის სტუდენტთა ასოციაციის (ESU) წევრი გახდა.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ უნივერსიტეტებს შორის პირველად სწორედ ჩვენს უნივერსტიტეტში შეიქმნა პროფესიული განათლების ცენტრი, რაც უნივალური და ყველაზე მართებული მიდგომაა პროფესიული განათლების განვითარებისთვის. ამ ცენტრის შექმნამდე პროფესიული პროგრამები ფაკულტეტებზე ხორციელდებოდა. ასეულობით საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად ფაკულტეტებისათვის რთული იყო პროფესიული პროგრამების ადმინისტრირება. ჩვენ გამოვკვეთეთ პრობლემები და ინიციატივით მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელმაც გამოყო თანხები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პროფესიული განათლების ცენტრის დაფუძნება, რომელიც დღეს უკვე სრულად თვითდაფინანსებადი ერთეულია და სწრაფად ვითარდება. 2019 წელს ცენტრმა თბილისისა და ქუთაისის ფილიალებში ფუნქციონირება 8 პროგრამით დაწყო და ერთ ადგილზე საშუალოდ 7 აპლიკანტს ჰქონდა განაცხადი გაკეთებული. წელს ცენტრი 10 პროფესიული პროგრამის აკრედიტაციას გეგმავს; რაც კიდევ მეტად გაზრდის დამსაქმებლების ჩართულობასა თუ სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ესტონელ

პარტნიორებთან, რაც პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი წარმატება და დიდი პოპულარულობით სარგებლოს ტელეწელოვნების კოლეჯი, რომელიც თსუ-ს 2018 წელს შემოუტოთდა და აქ ყოველ მიღებაზე ერთ ადგილზე 8 მსურველი რეგისტრირდება. კოლეჯს 30-წლიანი არსებობის ისტორია აქვს და არაერთი გამორჩეული სტუდენტი ჰქონის აღმასრულდილი.

#### გამოწვევები:

საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან მეტად დაახლოება; სწავლებისა და შეფასების მეთოდების მოდიფიცირება; სასწავლო ლიტერატურის მუდმივი განახლება; მნიშვნელოვანი გამოწვევაა ეროვნული გამოცდების ორგანიზება იმ საგნებით, რომელიც შემოგვთავაზეს 2020-2021 წლისათვის, რამაც შედეგად უკვე მოიტანა აპლიკანტების მიერ ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების ჩაბარებაზე უარის თქმა. ეს მიდგომა გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება პრობლემური საბუნებისმეტყველო დარგებისათვის.

#### პერსპექტივა / გეგმა:

- მრავალფეროვანი და უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამების შენარჩუნება და ახალი პროგრამების განვითარება (მაგ., უკვე დაგევმილია ABET-ის სტანდარტების მქონე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამების ბაზაზე კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის შექმნა);
- სადოკტორო სკოლის შექმნა;
- უცხოენოვანი (ერთობლივი, ორმაგი ხარისხის მქონე) პროგრამების დამატება;
- საერთაშორისო და კურსდიტებული პროგრამების რაოდენობის გაზრდა; შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სწავლებისა და შეფასების მოდიფიცირების მიზნით აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა მრავალფეროვანი სერვისებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების ინდუსტრიასა და ბაზრის მოთხოვნებთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით ამ სექტორთან მემორანდუმების გაფორმება და მჭიდრო კავშირის დამყარება;
- ელექტრონული სწავლების ხელშეწყობისთვის შესაბამისი ტექნიკური და მეთოდოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- გაციფრულებული წიგნების რაოდენობის განუხრელი ზრდა; სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ეროვნული გამოცდების ფორმატის ცვლილების მხარდაჭერა;
- საგამოცდო ცენტრის განახლება.

### **3. კვლევა და ინოვაცია: საერთაშორისო კოლაბორაცია და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება**

#### **განხორციელებული აქტივობები/არსებული სიტუაცია:**

თსუ-ში დღეისათვის ხორციელდება 250-ზე მეტი როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების კვლევითი პროექტები (მათ შორის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების უდიდესი ნაწილი), რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში.

თსუ-ს მიზანია, ყოველწლიურად გაზარდოს დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა და მოიზიდოს კვალიფიციური სამეცნიერო რესურსი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალის სრული გამოყენება.

თსუ-ს მეცნიერები ჩართულნი არიან მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში:

- CERN-ის ATLAS ექსპერიმენტი;
- CMS პროექტი;
- იულიხის კვლევითი ცენტრი (კვლევები COSY ამაჩქარებელზე);
- COMET ექსპერიმენტი იაპონიის ამაჩქარებლის კომპლექსზე (J-PARC);
- ხმელთაშუა ზღვაში დაწყებული საერთაშორისო KM3NeT ექსპერიმენტი;
- პროექტი FAIR (Facility for Antiproton and Ion Research) და სხვა.

ეს პროექტები კარგად აჩვენებს თსუ-ს მნიშვნელოვან პოტენციალს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და სამომავლო განვითარების პოტენციალსაც ინოვაციების თვალსაზრისით. ამ გარემოებას ზურგს უმაგრებს ბოლო პერიოდში თსუ-ში დაფუძნებული არაერთი სამეცნიერო ცენტრი თუ საერთაშორისო ლაბორატორია. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს თსუ-ში გაიხსნა ევროპის აკადემიის (Academia Europaea) თბილისის რეგიონული კვლევითი ცენტრი და საქართველო გახდა პირველი ქვეყანა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, სადაც აღნიშნული აკადემიის ცენტრი დაფუძნდა, რომელიც მთელ რეგიონს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი პრესტიული ორგანიზაციის რეგიონული ცენტრი დაფუძნდა თსუ-ში – ევროპული საჯარო სამართლის ორგანიზაციის (EPLO) წარმომადგენლობამ თსუ-ში დაიდო ბინა.

ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით სასწავლო ინფრასტრუქტურასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებშიც არაერთი სიახლეა. იულიხის სამეცნიერო ცენტრთან თანამშრომლობით თსუ-ში დაფუძნდა AtmoSim-Lab, SMART|SmR\_lab ბიომედიცინის ლაბორატორია, რომელიც 2021 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას. აღსანიშნავია, რომ თითოეული პროფესორისა თუ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო ბაზებზე უსასყიდლოდ წვდომას.

გაზრდილია სამეცნიერო ქურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა. ყოველწლიურად ქვეყნდება 500-ზე მეტი სტატია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში (იგულისხმება Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებული გამოცემები). ამასთან, ჩვენი მიზანია ისეთი დოქტორანტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო ხილვადობა და სწორედ ამ მიზნით სადოქტორო ხარისხის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად დავაწესეთ სტატიის ისეთ საერთაშორისო ქურნალში გამოქვეყნება, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.

2020 წლის დასაწყისში თსუ-ში ლუნდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ახალი კვლევითი ცენტრი დაფუძნდა – მოლეკულური, გენეტიკური და უჯრედული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი „დიაგნოსტიკა“, რომელიც მთელ რეგიონს მოემსახურება. გუნდი დაკომისალექტებულია ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე წარმატებული ქართველი ბიოლოგებით, ბიოინფორმატიკოსებითა და ექიმებით. მათი მიზანია, საქართველოში დაინერგოს საერთაშორისო სტანდარტის მოლეკულურ-გენეტიკურ მეთოდზე დაფუძნებული კვლევები. ეს ქართველ ექიმებს მისცემს ზუსტ ინფორმაციას, რაც საჭიროა პაციენტის სწორი დიაგნოზირებისა და მუცურნალობისათვის. დღევანდელი პანდემიის პირობებში ცენტრი აქტიურად ჩაერთო COVID-19-ის ტესტირებაში. მას აქვს შესაძლებლობა, ყოველდღიურად გააკეთოს 1000-ზე მეტი PCR ტესტი.

თსუ-ში ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონალური კვანტური მასალების ცენტრი შეიქმნება. ფუნქციონალური მასალების აღმოჩენა, შესწავლა და გამოყენება მსოფლიოში. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების საფუძველია. ინსტიტუტში არსებული 1 000 000 \$ ღირებულების აპარატურით შესაძლებელია ახალი კვანტური მასალების ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების ჩატარება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ოზონო-გენერატორების პროექტირება-შექმნაზე.

თსუ აქტიურად თანამშრომლობს იულიხის კვლევით ცენტრთან სხვადასხვა მიმართულებით. 2019 წელს თსუ-ს ორგანიზებით ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სახალისო ექსპერიმენტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები გააცნეს იულიხის კვლევითი ცენტრის სასკოლო ლაბორატორიის JULAB-ის წამყვანმა მასწავლებლებმა. თანამშრომლობას პერმანენტული ხასიათი აქვს.

2018 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსდა ინსტიტუციური თანამშრომლობის საპროექტო განაცხადი „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება კვლევისა და განვითარების გაძლიერების გზით“ რომლის ფარგლებშიც თსუ-ს კოორდინატორობით მიმდინარეობს კვლევის მენეჯმენტის პორტალის შექმნა, რაც სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელ პერსონალს საშუალებას აძლევს, ჰქონდეს საკუთარი, მუდმივად განახლებადი სამეცნიერო პორტფოლიო. პორტალი განკუთვნილია თსუ-ს მკვლევართათვის, საზღვარგარეთ მოღვაწე პოტენციური პარტნიორებისთვის, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისათვის, ფართო საზოგადოებისათვის, რათა მან შეძლოს ინფორმაციის მიღება თსუ-ში კვლევითი ღონისძიებების შესახებ (კონფერენცია-სემინარები, მეცნიერები, ფონდები, კვლევითი პროექტები) და სხვ.

თსუ-ში 2019 წელს გაიხსნა ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი, რომლის მისია ინოვაციური საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოების დაინტერესება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში ინოვაციური იდეების მქონე ავტორების აღმოჩენა. თსუ გახდა „საქართველოს შემოქმედებითი სამეწარმეო განათლების ალიანსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, რაც ეკოსისტემის გაჯანსაღების მიზნით წინგადადგმული ნაბიჯია. შიზნესისა და სტარტაპების ხელშეწყობა კი, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური მდგრადირეობის გაუმჯობესების კარგი წინაპირობაა. ეკოსისტემის განვითარების მიზნით ცენტრი ზრუნავს ისეთი პროდუქტებისა და სერვისების შექმნასა და დახვეწაზე, როგორებიცაა: ცოდნის გადაცემა ტრენინგებისა და ლექცია-სემინარების საშუალებით, ინოვაციური იდეების მუდმივი სტიმულირება და მეცნიერების პოპულარიზება. აღსანიშნავია, რომ ცენტრის ბენეფიციარი სტუდენტების რაოდენობამ 700-ს გადააჭარბა.

ყოველწლიურად რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ საშუალოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 120 სამეცნიერო პროექტი ფინანსდება; ხოლო Scopus-ის ბაზაში ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობა კი 600-მდეა.

### გამოწვევები:

თანამედროვე საერთაშორისო ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების განსახორციელებლად პროფესურის წახალისების მექანიზმების არარსებობა. პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის ამოქმედება.

### პერსპექტივა / გეგმა:

- საერთაშორისო გრანტების რაოდენობის გაზრდა და აკადემიური პერსონალის მეტი ხელშეწყობა შესაბამისი გადამზადებითა და საინტერესო სამოტივაციო პაკეტების შეთავაზებით;
- მაღალებრივი ინგული (SCOPUS, WoS ინდექსირებული) სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობი მექანიზმის შემუშავება/ამოქმედება;
- პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის განვითარება, ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვა უნივერსიტეტში და მათი კვლევების ხელშეწყობა;
- იულისის კვლევით ცენტრან (Forschungszentrum Jülich) თანამრომლობით ბიომედიცინის ლაბორატორიის დაფუძნება, რომელიც 2021 წელს ამუშავდება;

- 2020 წლის შემოდგომაზე ანტენებისა და მიკროტალღების ლაბორატორიის გახსნა (Antennas & Microwaves Laboratory), რომლის დირექტულებაც 1 მილიონი დოლარია და რომლის ანალოგიც ბევრ ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტსაც არ აქვს (შესყიდვა უკვე განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაო სივრცე სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის);
- უცხოეთში მოღვაწე მაღალი ჩიბლიომეტრიული მაჩვენებლების მქონე ახალგაზრდა მეცნიერთათვის თსუ-ში გარკვეული ტიპის აფილირების მიმზიდველი პაკეტის შეთავაზება;
- ე.წ. excellence cluster-ების შექმნა, რომლებიც თვალსაჩინო მეცნიერებს გააერთიანებენ რეგიონის მასშტაბით (ამის საუკეთესო მაგალითია 2019 წელს თსუ-ში დაფუძნებული ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი).

#### **4. საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი**

განხორციელებული აქტივობები/არსებული სიტუაცია:

უდავოა, რომ უნივერსიტეტი უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ კვლევასა და სწავლებას, არამედ საზოგადოებრივი სიკეთეებისა და ღირებულებების შექმნას. გასული 4 წლი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულად ნაყოფიერი იყო. 2018 წლის 16 დეკემბრიდან უნივერსიტეტების ავტონომია საქართველოს კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი. 27-ე მუხლში ეს შესწორება და ცვლილება სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით შევიდა. ჩვენივე ინიციატივით ცვლილება შევიდა კანონში „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტებს საუნივერსიტეტო მაუწყებლობის უფლებას აძლევს. აგრეთვე, სტუდენტთა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით მომზადდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც უკვე წარვუდგინეთ პარლამენტს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგა „93-ე აუდიტორია“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სტუდენტების შეხვედრები არაერთ ღვაწლმოსილ თუ ახალგაზრდა მწერალთან. 2020 წლის სექტემბრიდან იგეგმება ლიტერატურული აღმანახის „პირველი სხივის“ აღდგენა და გამოცემა, რაც იქნება ყველა დამწყები მწერლისა თუ ლიტერატურით გატაცებული მკითხველისათვის საუკეთესო და უნიკალური პლატფორმა.

2017 წელს აღვადგინეთ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას ისახავს მიზნად. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მისი მხარდამჭერები გაართიანა. 2020 წელს კურსდამთავრებულთა საინიციატივო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნას კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან, თუმცა ექნება კონკრეტული მიზანი – იზრუნოს მომავალი კურსდამთავრებულებისათვის გამოსაშვები ღონისძიების დაფინანსებაზე. ამით საფუძველი ჩაეყრება ახალ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც უფროსი თაობის უნივერსიტეტები მომავალ თაობას ამ ფორმით მიულოცავენ უნივერსიტეტის დამთავრებას.

აღსანიშნავია, რომ მზად ვართ, ყველა სიახლე, რომელიც დაინერგა ან ინერგება თსუ-ში, გავუზიაროთ ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებს. თსუ-ს ინიციატივით რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია დაფუძნდა, რომლის წევრები ყველა იმ საკითხს განიხილავენ, რაც ქვეყანაში სინქრონიზებული უნდა იყოს და რომელიც აუცილებელია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა თუ მართვის გაუმჯობესებისთვის. სწორედ რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის ფარგლებში გაიმართა არაერთი მსჯელობა უმაღლესი განათლების დაფინანსების სასურველი მოდელის თაობაზე. ეს კონსულტაციები ამჟამადაც გრძელდება.

თსუ-მ Covid-19-ის პირობებში ორგანიზება გაუწია ვებინარების სერიას: „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“; „ინკლუზია და თანასწორობა უმაღლეს განათლებაში Covid-19-ის პერიოდში“; „უნივერსიტეტის მესამე მისია კრიზისის და კრიზისის შემდგომ პერიოდში“; „პანდემია, მსოფლიო ეკონომიკა და საქართველო“ (თანაორგანიზატორი: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი); „უმაღლესი განათლების გადააზრება პანდემიის შემდეგ“ (თანაორგანიზატორი: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) და ISET-ის

კვლევითი ინსტიტუტი). ვებინარების აღნიშნულ სერიაში მონაწილეობას იღებდნენ დარგის მსოფლიო დონის ექსპერტები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჯარო თუ კერძო სტრუქტურებსა და დაწესებულებებთან პარტნიორობის არაერთი წარმატებული მაგალითი აქვს. მათ შორის აღსანიშნავია პარტნიორული ურთიერთობები კომერციულ ბანკებთან, რომელთაც სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს თუ-ს. 2017 წელს გაფორმდა თანამშრომლობის მეორანდუმითი თიბისი ბანკთან, რომლის ფარგლებშიც 200 000-ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა პროექტი განხორციელდა. 2019 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ბანკთან თანამშრომლობას. სხვადასხვა პროექტთან ერთად ბანკმა დააფინანსა სტუდენტების მხარდაჭერის პროექტები, 2019 და 2020 წლების კურსდამთავრებულთა გამოშვებების ღონისძიებები, განახორციელა სოლიდური ინვესტიცია უმუალოდ განათლების მიმართულებით და თუ-სთვის დისტანციური სწავლების ეფექტიანად წასამართად შეიძინა Zoom-ის საგანმანათლებლო პლატფორმის ღიცენზია.

აღსანიშნავია, რომ წარმატებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობა 2018 წელს ფრანგულტის წიგნის ბაზრობაზე, სადაც ჩვენი საუნივერსიტეტო გამოცემები წარვადგინეთ. მათ შორის აღსანიშნავია თუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტისა და გისენის უნივერსიტეტის თანამშრომლობით გამოცემული პირველი ინგლისურენოვანი „საქართველოს ეროვნული ატლასი“ და სხვა უნიკალური გამოცემები.

თუ-ში აქტიურად ფუნქციონირებს საბავშვო უნივერსიტეტი, რომლის მიზანია მოსწავლეების სწავლისა და მეცნიერებისადმი ინტერესის გაღრმავება. საბავშვო უნივერსიტეტი მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამას: დია ვარის დღეებს, ლექციებს, შეხვედრებს, ზამთრისა და ზაფხულის სკოლებს. 2017-2018 წლებში ჩატარებულ ღონისძიებებში 12 000-ზე მეტი სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა. პროექტში „თუ-დესპანი“ უნივერსიტეტის დესპანებად 300-მდე სტუდენტია ჩართული.

### გამოწვევები:

უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შემდეგი მიმართულებებით: საგანმანათლებლო-შემეცნებითი; გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური.

## პერსონალის / გეგმა:

- მუზეუმი - თსუ-ს მუზეუმები ათასობით ექსპონატს ინახავს, რომლებიც მის საგამოფენო დარბაზშია განთავსებული. ჩვენი მიზანია; გაიხსნას ეს უნიკალური კოლექცია საზოგადოებისათვის. ასევე, გაციფრულდეს კოლექციები და ამ თვალსაზრისითაც თსუ კულტურის ცენტრად წარმოჩინდეს;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შპს სერვისების მართვის კომპანიასთან ერთად შექმნა პროექტი თსუ-ოზონი. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს თსუ-ში შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით ოზონის გენერატორების დამზადებას. საწარმოს მიერ ასევე შეთავაზებული იქნება შემდეგი სერვისები: პროდუქტის ინსტალაცია, გაშვება, მომსახურება, კადრების მომზადება-გადამზადება, სადეზინჯექციო სამუშაოების წარმოება და სხვ. აღნიშნული წარმოების ამოქმედება იგეგმება პროგრამის „აწარმოება საქართველოში“ ფარგლებში;
- თსუ გააგრძელებს ყველა სამიზნე ჯგუფთან უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი წესის შემუშავებაზე მუშაობას: რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის ფარგლებში ინტენსიურ ხასიათს მიიღებს უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხზე მუშაობა. და თანამშრომლობა როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, ისე მსოფლიო ბანკთან და სხვა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დაფინანსების ახალი მოდელით შეიცვლება არსებული დაფინანსების წესი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამებზე ფასწარმოების დღეისათვის არსებულ მომველებულ მექანიზმს ეფუძნება. დაფინანსების წესში აისახება გარკვეული ინდიკატორები, რომელთა გათვალისწინებით განხორციელდება დაფინანსება;
- განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა; თსუ აქტიურად არის ჩართული იმ დღის წესრიგის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში, რომელიც Covid-19-მა განაპირობა მოექცევს. სისტემატურად ვმართავთ ვებინარებსა და ონლაინ შესვედრებს, სადაც თსუ-ს წარმომადგენლებთან ერთად თვალსაჩინო უცხოელი მეცნიერები მსჯელობენ ინტერნაციონალიზაციის ახალ ამოცანებზე. ერთობლივად ვმუშაობთ გაცვლითი პროგრამების სახეცვლილ ფორმატებზე.

## 5. ინსტიტუციური განვითარება

### სტუდენტური სერვისები

#### განხორციელებული აქტივობები/არსებული სიტუაცია:

თსუ-ს მიზანია აქტიური სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა. ბოლო წლებში საგრძნობლად გამოცოცხლდა თსუ-ში სტუდენტური ცხოვრება და ჩვენმა საუნივერსიტეტო სპორტულმა და სახელოვნებო გუნდებმა ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე დიდი წარმატება მოუტანეს უნივერსიტეტს. ღირებულია, რომ სულ ცოტა ხნის წინ თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ ინკლუზიურ თეატრთან, რომელმაც აქტიურად დაიწყო ჩვენს წიაღში ფუნქციონირება.

თსუ გააგრძელებს სიტუაციაზე მორგებული სტუდენტური გადასახადების მოქნილი ფინანსური პოლიტიკის განხორციელებას. კოვიდ-19-ის პანდემიისას შეღავათები დაწესდა საერთო საცხოვრებლით მოსარგებლე სტუდენტებისათვის: გადასახადისაგან გათავისუფლდნენ სოციალურად დაუცველი და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტები. გადასახადს არც ის სტუდენტები იხდიან, რომლებმაც ვირუსის გამო დაკარგეს სამსახური ან არიან უხელფასო შვებულებაში. ყველა დანარჩენ სტუდენტს შეეხო 30%-იანი შეღავათი. ვფიქრობთ, აღნიშნული საშეღავათო პოლიტიკა მომდევნო სასწავლო წელსაც გავაგრძელოთ.

სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება მრავალი მიმართულებით შევძელით, თუმცა სამუშაო კიდევ ბევრია. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღებისა და, ზოგადად, მართვის პროცესში. თსუ-ს წარმომადგენლობით და ფაკულტეტების საბჭოებში მესამედს სწორედ სტუდენტები წარმოადგენენ. შემოვიდეთ სტუდენტური ომბუდსმენის ინსტიტუტი; 2017 წლიდან კი უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი, გამჭვირვალე წესი დავამკვიდრეთ. პროექტებს საგრანტო კონკურსის საფუძველზე აფასებს კომისია. გასული 3 წლის განმავლობაში 500-მდე სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო სტუდენტური პროექტი დაფინანსდა და 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა სტუდენტური დაფინანსების წესი, რომლისთვისაც წელს 600 000 ლარია გამოყოფილი. სტუდენტებს აქვთ საშუალება, ისარგებლონ თანამედროვე, 320 სტუდენტისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებლით, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით აშენდა და 2017 წელს თსუ-ს გადმოეცა.

ბოლო წლების განმავლობაში სტუდენტთა მომსახურების ელექტრონული პორტალი მუდმივად იცვლება და იხვეწება. [Sms.tsu.ge](http://ims.tsu.ge) შეიცვალა [lms.tsu.ge](http://lms.tsu.ge)-ით, რომელიც მრავალი ინდიკატორით გაუმჯობესებულ ვერსიას წარმოადგენს.

გასამმაგდა სტუდენტთა კარიერული განვითარებისთვის მომზადებული და განხორციელებული ტრენინგებისა და ამ ტრენინგებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა. ასევე, 2015 წელთან შედარებით 2019 წელს გამართულ დასაქმების ფორუმში სამჯერ მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. სტუდენტებს ინგლისური ენის შესწავლის არაერთ დამატებით შესაძლებლობას ვთავაზობთ. მათ საშუალება აქვთ ქართულ პორტალზე სიმბოლურ ფასად შეისწავლონ უცხო ენები. ასევე, ფონდ „შემოქმედებითი ნაპერწკლის“

დახმარებით თსუ-ს სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება, გაეუმჯობესებინათ ინგლისური ენის ცოდნა და ამ შეთავაზებით 2000-ზე მეტმა სტუდენტმა ისარგებლა.

#### გამოწვევები:

LMS სისტემის გამართვა, საგამოცდო ცენტრის მოდერნიზება, სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების დაწერვა:

#### პერსპექტივა / გეგმა:

- სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების განვითარება: lms.tsu.ge შეიცვლება უფრო მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული პლატფორმით. გაიზრდება სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა. აშენდება 3000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი და სტუდენტური კომპლექსი მაღლივი კორპუსის მიმდებარედ;
- სტუდენტთა გარკვეული ნაწილი გადამზადდება შოტლანდიური სტუდენტური ორგანიზაციის (SPARQS) პროექტის ფარგლებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა ჩართულობას სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში;
- გაგრძელდება ბიბლიოთეკის დიგიტალიზება;
- ტექნოლოგიური თვალსაზრისით განახლდება საგამოცდო ცენტრი.

#### ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება

#### განხორციელებული აქტივობები/არსებული სიტუაცია:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ უნივერსიტეტის მიერ მოზიდული თანხებით შევძელით ბიუჯეტი გაგვეზარდა 40%-ით. წელს პირველად უნივერსიტეტის ბიუჯეტმა 103 მლნ. ლარი შეადგინა, რის საფუძველზეც დავიწყეთ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება, რაც, პირველ ეტაპზე, რიგ ფაკულტეტზე ხელფასის საშუალოდ 10%-იან ზრდაში გამოიხატა. ამასთან, სწავლებისა და კვლევისთვის სტაბილური გარემოს შესაქმნელად ცვლილებები შევიტანეთ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესში. აკადემიური სატქოს გადაწყვეტილებით, გახანგრძლივდა აკადემიურ პერსონალთან შრომითი ურთიერთობების ვადები და დაიხვეწა სამსახურში აკვანის წესი, რაც კვლევისა და სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სტაბილური გარემოს შექმნას ემსახურებოდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე 1400-ზე მეტ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა კონკურსი.

საქმისწარმოება გახდა ელექტრონული, რის შედეგადაც პროცესი გახდა სწრაფი და ნაკლებ ბიუროკრატიული.

ფონდ „ქართუს“ მიერ სრულად რეაბილიტირებული პირველი კორპუსის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი იყო თსუ-ს ისტორიული მეორე კორპუსის რეაბილიტაცია, რაზეც მთლიანად,

დაახლოებით, 30 მლნ. ლარი დაიხარჯება. პირველი ეტაპის სამუშაოები უკვე დასრულებულია: გამაგრდა შენობის საძირკველი, შეიცვალა სახურავი და ფანჯრები, მოუწყო გათბობის ცენტრალური სისტემა. მეორე ეტაპზე მიმდინარეობს შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც თსუ-ს მეორე კორპუსი ყველა საერთაშორისო სტანდარტს დააკმაყოფილებს. ამასთან, ჩვენი სახსრებით გავანათეთ თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსების ფასადები. აქტიურად ვითანაშორომლეთ მერიასთან ეზოს გამწვანების თვალსაზრისით.

ზოგადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის აკადემიური და კვლევითი დანიშნულების მქონე ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. თუმცა, გასული 3 წლის განმავლობში შევძლით და გავარემონტეთ არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სივრცე; გარემონტდა მაღლივი კორპუსის ფიი და მე-10, მე-11 და მე-12 სართულები, საგამოცდო ცენტრის ტერიტორია, სამკითხველო დარბაზები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა პროფესიული სწავლების ცენტრის თბილისისა და ქუთაისის ფილიალებს. გაიხსნა არაერთი კვების ობიექტი (პირველი კორპუსის ეზოში „ჩაის სახლი“, მაღლივ კორპუსშა და ბიოლოგების კორპუსში კაფეტერიები), რაც წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა. საბოლოო ჯამში, 2024 წლამდე ვგეგმავთ ყველა საკვანძო კვლევითი თუ სასწავლო სივრცის რეაბილიტაციას.

2017 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადმოგვცა ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეკროპული სტანდარტების 320-ადგილიანი საცხოვრებელი კომპლექსი სამი ოთხსართულიდანი საცხოვრებელი კორპუსისაგან შედგება. გათვალისწინებულია საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა და სპორტული მოედანი.

მრავალი წლის განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა უნივერსიტეტში შემავალი იმ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესი, რომელთა ფაქტობრივი და ისტორიული მფლობელი სწორედ თსუ იყო.

2017 წლიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ეტაპობრივად განხორციელდა ქონების გადმოცემის პროცესი. უნივერსიტეტს სარგებლობაში გადმოეცა: თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უმრავი ქონება, თსუ რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უმრავი ქონება, ბაგების საერთო საცხოვრებელი, მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; 2018 წლის თებერვალში განხორციელდა კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ინტეგრაცია თსუ-ში; ცენტრის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკისა და სამეცნიერო მუშაობისათვის. აღნიშნული ცენტრის ისტორია 1911 წლიდან იწყება. ის ფლობს მაკრო და მიკრო პრეპარატების უმდიდრეს არქივს, რომელიც უნიკალურ მასალას წარმოადგენს სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის მიღების თვალსაზრისით; ასევე გადმოგვცა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა კოსტავას ქუჩაზე. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება ყველა პრობლემური საკითხის მოგვარებამდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუჩის ხელოვნების მომრაობის ინიციატივით, პროექტის „#ნიკომაღლივი“ ფარგლებში თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის კორპუსის 6 კედელი მოიხატა. ექსპერიმენტულ პროექტში მხატვრებსა და ხელოვანებს საშუალება ჰქონდათ, კედლის მხატვრობის სფეროში კარგი გამოცდილება მიეღოთ.

#### გამოწვევები:

კვლევითი და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სტუდენტური სივრცეების მოწყობა ყველა სასწავლო კოპრუსში, სპეციფიკის გათვალისწინებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა მოწვევული პერონალის შემცირების ხარჯზე, სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება.

#### პერსპექტივა / გეგმა:

- უნივერსიტეტის მიერ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა თანამშრომელთა კეთილდღეობისა და სამუშაო/პირადი ცხოვრების ბალანსის მისაღწევად;
- შესრულებული აქტივობებისა და მათი ხარისხის შეფასებაზე დაფუძნებით აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებების პირობებისა და დატვირთვის სქემის მოწესრიგება;
- მომდევნო 4 წლის განმავლობაში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასის მკვეთრად გაზრდა;
- 2024 წლის ჩათვლით თსუ-ს ყველა ძირითადი კვლევითი და სასწავლო სიურცის სრულად რეაბილიტირება;
- IT ინფრასტრუქტურის განვითარება, პროცესების ტექნიკურობიური მხარდაჭერა.
- ხელისუფლებისათვის მასშტაბური პროექტის შეთავაზება, რომელიც დამტკიცებული პროფესორთა დაფასებასა და სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს.
- დაინერგება კვლევა-უკუკავშირის სისტემა: თანამშრომელთა განწყობების (შრომითი კმაყოფილება, ორგანიზაციისადმი ერთგულება, სამუშაოში ჩართულობა) შესწავლა თანამშრომლის იდეების, ინფორმაციისა და მოსაზრების წარმოჩენის ვარგი საშუალება: ამ პლატფორმის შექმნა ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და ინსტიტუციურ განვითარებაში თანამშრომელთა ჩართულობისა და წვლილის ზრდას. თანამშრომელთა პროაქტიული და უნივერსიტეტის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ხმის ეფექტიანი გამოყენებით, ურთიერთთანამშრომლობით შევძლებთ ორგანიზაციის მართვის სისტემის გაუმჯობესებას, აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სფეროს განვითარებას.